წერილის ნომერი: **18-0125118217**
თარიღი: **28/04/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01251072736
წერილის თარიღი:	17 აპრილი, 2025
განმცხადებელი:	კახაბერ კამკამიძე
განაცხადის N	AR11077124
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ,,ჩალიპირები“
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.035.250
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №601 თარიღი: 22 ნოემბერი, 2024;
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ქვოლითი ბილდინგ სუფლაის“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია პროექტის შეთანხმების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით №255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 28 თებერვლის დადგენილებით №52-13 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის

დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ,,ნ” ქვეპუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან, 17/03/2025 N18-01250762783 წერილით დადგენილი ხარვეზ(ებ)ი არ არის გამოსწორებული, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს პოზიცია პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

დანართი 2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01250762783**
თარიღი: **17/03/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N 60-01250693975
წერილის თარიღი:	10 მარტი, 2025
განმცხადებელი:	კახაბერ კამკამიძე
განაცხადის N	AR11077124
მისამართი	ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, ,,ჩალიპირები“
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.72.14.035.250
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი; III კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	პროექტის შეთანხმება
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ გრგ	დოკუმენტის №601 თარიღი: 22 ნოემბერი, 2024;
არსებული შეზღუდვები	--------
ფართობ(ებ)ი:	3750
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	შპს ,,ქვოლითი ბილდინგ სუფლაის“
არსებული ფუნქციური ზონა(ები):	საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გამწვანების პროექტი
დასკვნა: შუალედური (ხარვეზი)	

საკითხის აღწერა

მოთხოვნილია გამწვანების პროექტთან და მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირება

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს კანონის ,,საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 108-ე მუხლი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-2 და მე-5 ნაწილები; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით

№255 დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი, მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი, დადგენილების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“, ,,ბ“ „გ“, „დ“, „ე“, „ვ“, „ზ“ ქვეპუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ,,ნ” ქვეპუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

მოგახსენებთ, რომ აღნიშნული განაცხადით წარმოდგენილი 2021 წლის გამწვანების პროექტი ვერ ასახავს ამჟამინდელ მდგომარეობას (გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი, შეიცვალა საკადასტრო კოდი, შეთანხმდა განაშენიანების რეგულირების გეგმა) შესაბამისად, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს განახლებული გამწვანების პროექტი ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასევე, მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემული საექსპერტო დასკვნა, რომელიც უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული თითოეული ნარგავის შესახებ ინფორმაციას, მათ შორის ექსპერტის დასაბუთებულ არგუმენტაციას მწვანე ნარგავების გადარგვისა და მათი შემდგომი გახარების თაობაზე, მცენარეების (ნუმერაციის მიხედვით) სრულად ამსახველ ფერად ფოტომასალას A4 ფორმატით (ფოტოზე ნათლად უნდა ჩანდეს როგორც ღერო, ასევე ვარჯიც).

ამასთან ერთად, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს ტოპო. გეგმა, რომელზეც უნდა დაიტანოს, როგორც საპროექტო ობიექტის სქემა (შენობა-ნაგებობები, გზა, პარკინგი), ასევე, მწვანე ნარგავები საექსპერტო დასკვნის ნუმერაციის მიხედვით და საპროექტო შენობასა და მწვანე ნარგავებს შორის დაშორების მანძილები, საჭიროების შემთხვევაში წერილობითი ინფორმაცია გადასარგავი/მოსაჭრელი მწვანე ნარგავების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური იმსჯელებს მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი წარმოადგენს განახლებულ დოკუმენტაციას.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი